

უკრაინის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი

დამტკიცებულია უკრაინის მოსამართლეთა რიგით XI ყრილობაზე
22 თებერვალი, 2013 წელი

(არაოფიციალური თარგმანი)

პრეამბულა

კანონის უზენაესობის პრინციპის საფუძველზე სასამართლოს გზით თითოეული მოქალაქის უფლების დაცვა, მართლმსაჯულების განხორციელება უკრაინის სახელმწიფოს სახელით მხოლოდ უკრაინის კონსტიტუციისა და კანონების, უკრაინის საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელი მოვალეობების შესრულებაზე თანხმობაც მიღებული აქვთ უკრაინის უმაღლესი რადასგან, თითოეული მოსამართლისგან მოითხოვს მაღალ მორალურ თვისებებს.

აცნობიერებენ რა საკუთარი მისიის მნიშვნელობას, სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცებისა და დაცვის მიზნით უკრაინის მოსამართლეებს მიაჩნიათ, რომ ვალდებულნი არიან, აჩვენონ და პროპაგანდა გაუკეთონ ქვეყნის მაღალ სტანდარტებს, რისთვისაც ისინი თავის თავს უწყობენ მკაცრ შეზღუდვებს, რაც დაკავშირებულია ეთიკის ნორმების დაცვასთან, როგორც მართლმსაჯულების განხორციელებისას, ისე სასამართლოს გარეთ.

ვხელმძღვანელობთ რა უკრაინის კონსტიტუციით, უკრაინის კანონით: „სასამართლო სისტემისა და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“, ვითვალისწინებთ რა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-6 მუხლს, რომლის თანახმადაც, ყველას აქვს უფლება დამოუკიდებელ და სამართლიან სასამართლოზე, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტს, ძირითად პრინციპებს სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის შესახებ, დამტკიცებულს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციებით, რეკომენდაციებს სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების ეფექტიანი განხორციელების შესახებ, დამტკიცებულს გაეროს გენერალური ასამბლეის 1989 წლის 15 დეკემბრის რეზოლუციით, მოსამართლეთა ქვეყნის ბანგალორის პრინციპებს, დამტკიცებულს გაეროს გენერალური ასამბლეის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 2006 წლის 27 ივლისის რეზოლუციით, ევროპულ ქარტიას მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას 12 (2010) – წევრი სახელმწიფოების მიმართ – მოსამართლეებთან დაკავშირებით: დამოუკიდებლობას, ეფექტურობას და ვალდებულებებს, უკრაინის მოსამართლეთა ყრილობა ამტკიცებს მოსამართლეთა ქვეყნის კოდექსს, რომლის დებულებები მიზნად ისახავს მოსამართლეთა სტატუსთან დაკავშირებული ეთიკური სტანდარტების დადგენას.

თავი 1. ზოგადი დებულებები

მუხლი 1

მოსამართლე უნდა იყოს კანონის მოთხოვნებისა და კანონის უზენაესობის პრინციპის, მოსამართლის ფიციის მკაცრი დაცვის მაგალითი, ასევე, ქცევის მაღალი სტანდარტების დაცვის გარანტი, რათა გაძლიერდეს მოქალაქეთა ნდობა მოსამართლის პატიოსნების, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობისადმი.

მუხლი 2

მოსამართლემ თავი უნდა აარიდოს ნებისმიერ ზეწოლას, რაც უკავშირდება მართლმსაჯულების განხორციელებას და უნდა იყოს თავისი კოლეგებისაგან გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მას უფლება არა აქვს გამოიყენოს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა პირადი ინტერესების ან სხვა პირების საკეთილდღეოდ და არც სხვებს მისცეს ამის უფლება.

მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლემ თავი უნდა აარიდოს მის საქმიანობაზე ნებისმიერი სახის უკანონო ზეწოლას და გადაწყვეტილებების მიღებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი მისი კოლეგებისაგან. მოსამართლემ არ უნდა გამოიყენოს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა პირადი ინტერესების ან სხვა პირების საკეთილდღეოდ და არც სხვებს მისცეს ამის უფლება.

მუხლი 3

მოსამართლემ მთელი ძალისხმევა უნდა მოახმაროს იმას, რომ ყველა სადად მოაზროვნე, კანონმორჩილი და ინფორმირებული ადამიანის აზრით მისი ქცევა იყოს უმწიკვლო.

მუხლი 4

ამ კოდექსით დადგენილი ეთიკური ქცევის წესების დარღვევა, თავისთავად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც მოსამართლეთა დისციპლინარულ პასუხისგებაში მიცემისა და მათი ბრალეულობის ხარისხის განსაზღვრის საფუძველი.

თავი II. მოსამართლის ქცევა მართლმსაჯულების განხორციელებისას

მუხლი 5

მოსამართლის დამოუკიდებლობა მართლმსაჯულების განხორციელებისას წარმოადგენს კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვის წინაპირობას და სამართლიანი სასამართლოს განუყოფელ კომპონენტს.

მუხლი 6

მოსამართლემ თავისი პროფესიული ვალდებულებები უნდა შეასრულოს დამოუკიდებლად, მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომლებიც დადგენილ იქნა შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასებით, კანონისა და კანონის უზენაესობის საფუძველზე, რაც წარმოადგენს სასამართლოში საქმის სამართლიანი განხილვის გარანტიას, მიუხედავად ნებისმიერი გარეშე ზეწოლის, წახალისების, მუქარის, ჩარევის ან საჯარო კრიტიკისა.

მუხლი 7

მოსამართლემ გულმოდგინედ და მიუკერძოებლად უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობები და იზრუნოს თავისი ცოდნის გადრმავებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გააუმჯობესებაზე.

მუხლი 8

მოსამართლემ სამართალწარმოება უნდა განახორციელოს იმ წესითა და ფარგლებში, რაც განსაზღვრულია საპროცესო კანონმდებლობით, და ამასთან ერთად გამოავლინოს ტაქტიანობა, თავაზიანობა, თავშეკავება და პატივისცემა სასამართლო პროცესის მონაწილეებისა და სხვა პირთა მიმართ.

მუხლი 9

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მოსამართლემ არ უნდა დაუშვას უპატივცემულობის გამოვლინება ადამიანის მიმართ, რასის, სქესის, ეროვნების, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ფიზიკური შეზღუდულ უნარიანობის და ა.შ. ნიშნის გამო და არც სხვებს მისცეს ამის უფლება.

მუხლი 10

მოსამართლემ თავისი მოვალეობები უნდა შეასრულოს სამართლიანად და მიუკერძოებლად და თავი შეიკავოს ნებისმიერი ისეთი ქცევისაგან, ქმედებისაგან ან განცხადებებისგან, რომლებმაც შეიძლება აღძრას რაიმე ეჭვი პროფესიონალი მოსამართლეების, სახალხო მსაჯულებისა და ნაფიცი მსაჯულების თანასწორობის შესახებ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

მუხლი 11

მოსამართლემ პატივი უნდა სცეს სასამართლო განხილვის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას და არ დაუშვას პროცესის საჯაროობის პრინციპის დარღვევა. მოსამართლე კანონით

დადგენილი წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს მედია საშუალებების მიერ ინფორმაციის მიღებას ისე, რომ არ დაუშვას მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა, მათი პატივისა და ღირსების, აგრეთვე, მართლმსაჯულების ავტორიტეტის შელახვა.

მუხლი 12

მოსამართლემ არ შეიძლება გააკეთოს საჯარო განცხადებები, გააკეთოს კომენტარები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში იმ საქმეების შესახებ, რომლებიც იმყოფება სასამართლოს წარმოებაში და ექვევემ დააყენოს სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც შესულია კანონიერ ძალაში. მოსამართლეს უფლება არა აქვს გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა საქმის განხილვის დროს.

მუხლი 13

მოსამართლე, რომელიც სასამართლოში გამწესებულია ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, თავი უნდა შეიკავოს ისეთი ქცევებისაგან, ქმედებებისაგან ან განცხადებებისგან, რომლებმაც შეიძლება აღძრას ექვი მოსამართლეთა სტატუსის ერთიანობის მიმართ და მასზედ, რომ მოქმედი მოსამართლეები სასამართლოს მუშაობის ორგანიზაციულ საკითხების შესახებ ღებულობენ კოლექტიურ გადაწყვეტილებას.

მუხლი 14

მოსამართლემ თავი უნდა აარიდოს არაპროცესუალურ ურთიერთობებს პროცესის რომელიმე მხარესთან ან მის წარმომადგენელთან იმ საქმეებზე, რომლებსაც არ ესწრებიან პროცესის მონაწილე სხვა მხარეები.

მუხლი 15

საქმეთა მიუკერძოებელი განხილვა წარმოადგენს მოსამართლის ძირითად მოვალეობას. მოსამართლეს უფლება აქვს განაცხადოს თვითაცილება საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროცესის მონაწილე რომელიმე მხარის სასარგებლოდ წინასწარ შექმნილი აზრის გამოხატვის შემთხვევაში, ასევე, იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლისათვის საკუთარი წყაროებიდან ცნობილი გახდა მტკიცებულება ან ფაქტი, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს საქმის განხილვის შედეგებზე.

მოსამართლემ ბოროტად არ უნდა გამოიყენოს თვითაცილების უფლება.

მოსამართლე ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება საქმის განხილვაში მონაწილეობისაგან თუ მას არ შეუძლია მიიღოს ამ საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილება.

თუ მოსამართლეს არ შეუძლია საქმეზე მიიღოს ობიექტური გადაწყვეტილება, ის ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.

თავი III. მოსამართლის ქცევა სასამართლოს გარეთ

მუხლი 16

მოსამართლე არ შეიძლება ეკუთვნოდეს პოლიტიკურ პარტიებსა და პროფესიულ კავშირებს, მონაწილეობა მიიღოს რაიმე პოლიტიკურ საქმიანობაში, ჰქონდეს წარმომადგენლის მანდატი, ეკავოს სხვა ანაზღაურებადი თანამდებობა, ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა. ყველა სხვა სახის საქმიანობასთან შედარებით, მოსამართლემ უპირატესობა უნდა მიანიჭოს მართლმსაჯულების განხორციელებას.

მუხლი 17

მოსამართლეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ საქმიანობაში, საჯარო ღონისძიებებში, თუ ისინი ზიანს არ აყენებენ მის სტატუსს და სასამართლოს ავტორიტეტს და გავლენას არ ახდენენ მართლმსაჯულების განხორციელებაზე, თუმცა მოსამართლემ თავი უნდა აარიდოს ისეთ ურთიერთობებს, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე.

მუხლი 18

მოსამართლემ უნდა იცოდეს საკუთარი ქონებრივი ინტერესების შესახებ და მიიღოს გონივრული ზომები იმისათვის, რომ ფლობდეს ინფორმაციას თავისი ოჯახის წევრთა ქონებრივი ინტერესების შესახებ.

მუხლი 19

მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს, რომ ოჯახური, სოციალური ურთიერთობები ან ნებისმიერი სხვა ურთიერთობა და ჩარევა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან გავლენას არ უნდა ახდენდეს მოსამართლის ქცევაზე ან სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებაზე.

მუხლი 20

მოსამართლეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სოციალური ქსელებში, ინტერნეტ–ფორუმებში და გამოიყენოს ინტერნეტის ქსელში კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმა, მაგრამ მოსამართლემ შეიძლება განათავსოს, კომენტარი გაუკეთოს მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომლის გამოყენებაც ზიანს არ მიაყენებს მოსამართლისა და სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს.

უკრაინის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი თარგმნა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრმა ქეთევან ბექაურმა

2014 წელი